2-19541/23
29-11-2023

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

2023 წლის 15 ნოემბერს ჩვენს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი იქნა საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/385; 15.11.2023).

კანონპროექტის დაჩქარებული წესით, განხილვის ვადად განისაზღვრა 20 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. თუმცა, აღნიშნული კანონპროექტის მიღება მიზანშეწონილია „ტურიზმის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტებთან ერთად. შესაბამისად, გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების შესახებ 2023 წლის 11-15 დეკემბრის სასესიო კვირაში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით სონღულაშვილი

პარლამენტის წევრი
ისკო დასენი



პარლამენტის წევრი
ბეჟან წაქაძე

პარლამენტის წევრი
ვასილ ჩიგოგიძე



პარლამენტის წევრი
გელა სამხარაული



პარლამენტის წევრი
ირაკლი კირცხალია